პროტოკოლის დანართი
საზედამხედველო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ხელმოწერილი ფინანსური პროტოკოლის მე-6 მუხლის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ შეიქმნას საზედამხედველო კომიტეტი (შემდგომში კომიტეტი).

<u>კომიტეტის შემადგენლობა</u>

კომიტეტის შემადგენლობაში შედიან:

- საქართველოს მხრიდან: საქართველოს ფინანსთა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების წარმომადგენლები;

- საფრანგეთის მხრიდან: სამხრეთ კავკასიასა და თურქმენეთში ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელი, რომლის ადგილსამყოფელია ბაქო (აზერბაიჯანი).

კომიტეტის წევრებს შეუძლიათ კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად მიიწვიონ სხვა პირები, მათ შორის ქართული მხარის მიერ შერჩეული ფრანგი კონსულტანტი, რომლმაც უნდა შეიმუშაოს მესტიის ხეობის ტურისტული განვითარების გენერალური გეგმა. კომიტეტის სხდომებზე დასასწრებად ასევე შეიძლება მიწვეულ იქნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

<u>კომიტეტის მიზნები</u>

კომიტეტმა უნდა შეასრულოს ორი ძირითადი მიზანი:

- გენერალური გეგმის მიმართულებების შესაბამისად დაამტკიცოს სათხილამურო ტრასების ადგილმდებარეობა. მხარეების მიერ ადგილმდებარეობის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დასკვნა გადაეგზავნება საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და ინდუსტრიის სამინისტროს (გენერალურ სახაზინო დეპარტამენტს). საფრანგეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და ინდუსტრიის სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილება წარმოადგენს საფრანგეთის სახაზინო სესხის ფარგლებში კომერციული კონტრაქტების დარეგისტრირების წინაპირობას.

- კოორდინაცია გაუწიოს საბაგირო გზების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის როგორიცაა სასტუმროები, ტრანსპორტი, სამოქალაქო მომსახურება და ა.შ. მოწყობას.